ინფორმაცია ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოების ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სანიტარულ- ეპიდემიოლოგიური მომსახურების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოების ჯანდაცვის ცენტრი“ 2025 წლის განვლილ პერიოდში დამტკიცებული დებულების თანახმად ახორციელებდა მოვალეობების შესრულებას. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2 სამედიცინო დაწესებულება, 19 საექიმო ამბულატორია და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი, ყველა დაწესებულებიდან ვიღებთ ყოვეთვიურ ანგარიშგებას სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენას, კერებში შესაბამისი კვლევების ჩატარება გავრცელების აღმოფხვრის გზით, ლაბორატორიებთან ურთიერთ შეთანხმებით მუშაობა და გამომწვევების იდენტიფიკაცია, ანტიბიოტიკების ეფექტური გამოყენება კლინიკების მიერ და მისი კონტროლი. მიმდინარე წელს დაფიქსირებული ინფექციური დაავადებებია: ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია-178, ინფექციური წარმოშობის დიარეები-648, ჩუტყვავილა -15, სქსობრივი გზით გადამდები დაავადებები: სიფილისი -1, მიმდინარე წელში ტუბერკულოზზე გამოკვლეული გვაყავს საეჭვო პირი - 21, დადასტურებული გვაქვს ლეპტოსპიროზის 4 შემთხვევა, C ჰეპატიტის 4 ახალი, B ჰეპატიტის 2 ახალი შემთხვევები, გვქონდა სალმონელოზის დადასტურებული 2 შემთხვევა, რაზეც გავაკეთეთ შესაბამისი რეაგირება. კვლევების ჩატარების მიზნით შემოდის შეტყობინებები ლეიშმანიოზზე, ბორელიოზზე, ბრუცელოზზე და სხვა ინფექციურ დაავადებებზე.

დაავადებათა ადრეული გამოვლენის პროგრამა ითვალისწინებს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული, და პროსტატის კიბოს სკრინინგულ კვლევებს დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მიზნით. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ,ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, ჩოხატაურის მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის უშუალო მონაწილეობითა და აქტივობით პარტნიორი

ორგანიზაცის: „ეროვნული სკრინინგ ცენტრი“ ჩართულობით უფასო სკრინინგ კვლევების აქცია ჩატარდა შემდეგ მიმართულებებზე:

• ძუძუს კიბოს სკრინინგი - 40 -70 წლის ასაკის ქალები - 60

მამოგრაფია და საჭიროების შემთხვევაში ექოსკოპიური გამოკვლევა - 20

• საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ კვლევა -25-60 წლის ასაკის ქალებში (პაპ ტესტირებისათვის მასალის აღება) -18

• პროსტატის კიბოს სკრინინგი --50-70 წლის მამაკაცებში - 4

ასევე 18 წლის ზემოთ ასაკის პირებისათვის ჩატარდება ლაბორატორიული კვლევები

• B და C ჰეპატიტი და აივ ინფექცია შიდსზე - 47

• სისხლში გლუკოზის გამოკვლევა - 26

აღნიშნული სკრინინგები შეეხოთ მხოლოდ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირებს. პასუხებს 1 თვის განმავლობაში მოგვაწოდებენ.

ქვეყანაში ამოქმედდა B ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა, C ჰეპატიტის პროგრამა ისევ გრძელდება 2015 წლიდან, ძირითადი მიზანია საქართველოში **C** და **B** ჰეპატიტებით, აივ ინფექცია შიდსით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება. მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ტარდება ტესტირებები C ჰეპატიტზე, აივ ინფექცია შიდსზე.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით და მოსახლეობის უზრუნველყოფა ყველა სახის ვაქცინით, რაც უმნიშვნელოვანესი პროგრამაა. იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული გვაქვს შესაბამისი ღონისძიებები, გამოვაქვეყნეთ საგაზეთო მასალა, შეხვედრები ჩავატარეთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სკოლების პერსონალთან და მშობლებთან, სოფლის და კლინიკის მედპერსონალთან იმუნიზაციის პრობლემურ საკითხებზე, მოცვებთან დაკავშირებით.

დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამა დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტეროტორიაზე მოქმედ კლინიკებში აღრიცხვაზე იმყოფება 8 ორსული.

სანიტარული მდგომარეობის მხრივ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, უნდა აღინიშნოს რომ შემოვლის მომენტში გაცლილი იყო ყველა

ნაგავშემკრები კონტეინერები, არ იყო გადავსებული და არ იყო დაბინძურებული, ურნების მიმდებარე ტერიტორიები, ხშირად გვხვდება გადავსებული ქსელური მაღაზიების წინ მდებარე ურნები მაღაზიის ნარჩენებით, ყუთებით და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგვით. სანაგვე ურნები რომლებიც საყოფაცხოვრებო ნაგვისთვისაა განკუთვნილი გაცლის შემდეგ ექვემდებარება რეცხვა-დეზინფექციას.

საკმარისია ურნების რაოდენობა დაბის ტეროტორიაზე, მაგრამ აუცილებელია დაზიანებული ურნების გამოცვლა ხდებოდეს საჭიროების მიხედვით, სოფლის ცენტრიდან მოშორებულ დასახლებებში მოსახლეობისთვის საკმარისი არ არის ურნების რაოდენობა, რაც ქმნის იმის პირობებს, რომ ნაგავი მოსახლეობის მიერ გადაიყაროს თვითნებურად სხვადასხვა ადგილებში და შეიქმნას ინფექციური და პარაზიტული დაავადებების გავრცელებისთვის ყველა პირობა.

მოგაწვდით ინფორმაციას ნაგავსაყრელის შესახებ, რომელმაც უნდა იმუშაოს სტანდარტების შესაბამისად, შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება და ზიანი არ მიაყენოს ადგილობრივი ადამიანების ჯანმრთელობას, ჩოხატაურში სოფელ ბუკნარში არსებული ნაგავსაყრელი ეკუთვნის მყარი ნარჩენების კომპანიას, ადგილზე ყავს ორი თანამშრომელი, ნარჩენების მიმღები და ტექნიკის მძღოლი, უნდა ხდებოდეს შეტანილი ნარჩენების ტიპისა და რაოდენობის მოცულობის აღრიცხვა, ზაფხულის პერიოში გაიზარდა ნარჩენების რაოდენობა ნაგავსაყრელზე, რაც პერიოდულად უნდა იფარებოდეს ქვიშის ფენით, ჩვენს მიერ მოხდა ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასება, არ არის დაფარული ნარჩენების ფენა, მძიმე ტექნიკის არ არსებობის ან მწყობრიდან გამოსვლის გამო.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კურორტ ბახმაროს სანიტარული მდგომარეობა, როგორც სეზონის განმავლობაში, ასევე სეზონის ბოლოს, მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი სამუშაო იქნა გაწეული ბახმაროში ნარჩენების მართვის მომსახურების მხრივ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურორტზე არ შექმნილიყო ანტისანიტარია და უწესრიგობა, დასუფთავებულია სკვერები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, მუნიციპალიტეტის მხრიდან გაწეული იქნა სამუშაო პირუტყვის აკრძალვის მიზნით, მაგრამ შენარჩუნებულია ცხენების მოძრაობა კურორტის ტერიტორიაზე.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც გასულ წელს, სურსათის უვნებლობის მიერ არ გასინჯულა სასმელი წყალი, რომელსაც მოიხმარს მოსახლეობა კურორტზე, რადგან წყალმომარაგება არ არის ერთიანი სისტემით, როელსაც არ აყავს ოფიციალურად მეპატრონე, დამსვენებლები სარგებლობენ თვითნებურად გამოყვანილი წყლით, რომელიც საკუთარი მილებით მიეწოდება ერთ ან რამდენიმე ოჯახს, აქედან გამომდინარე სავარაუდოდ ყველა ეს წყალი ვერ დააკმაყოფილებს სასმელი წყლის

სტანდარტს და გამოსაყენებელია, როგორც ტექნიკური წყალი, რადგან ადვილად ბინძურდება ატმოსფერული ნალექების დროს, ასევე, ნიადაგში თვითნებურად გაშვებული კანალიზაციების, გაუწმენდავი ნახმარი წყლების გამო.

ყველაზე დიდი პრობლემა კურორტისთვის არის საკანალიზაციო სისიტემის არქონა, ვიცით, რომ ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად მოიმატა კერძო კოტეჯების და სხვადასხვა ობიექტების რაოდენობამ კურორტის ტერიტორიაზე, თითქმის ყველას აქვს საკუთარი საპირფარეშო, არ აქვთ მოწყობილი ბიო გამწმენდი ნაგებობები, აქვთ თვითნებურად გაკეთებული ორმოები, სადაც ჩაედინება მხოლოდ ფეკალიები, ძალიან ბევრ ადგილას ნახმარი წყლები, გარდა ტუალეტისა, გადაშვებულია პირდაპირ გარემოში. რაც აბინძურებს გარემოს, ქმნის არასასიამოვნო სუნს. კარგი იქნება მღრღნელების საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება.

სოფლებშიც ვერ აკმაყოფილებს არსებული წყლები სასმელი წყლის მოთხოვნებს. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის სფეროშიც, რადგან გაუწმენდავი და არასაკმარისად გაწმენდილი მუნიციპალური ჩამდინარე წყლები ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროა.
ისევ პრობლემად რჩება უპატრონო ძაღლების თავისუფალი მოძრაობა ცენტრალურ ქუჩებში, ტრასებზე და სხვა ადგილებში, რაც ქმნის ადამიანების დაკბენის, დაკაწვრის საფრთხეებს, შესაბამისად იმატებს მომართვიანობა აცრის კაბინეტებში.